# სიტყვა – მეცნიერებს! ძალაუფლება – ხალხს!



## თემურ შაშიაშვილი:

# ხელისუფალნო,

*პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **თემურ შაშიაშვილი** საზოგადოებაში დაგროვილ უმწვავეს პრობლემებზე საუბრობს და ქვეყნის ქონების უკანონო გასხვისებაზე, კუპონების აფერასა და მაღალჩინოსანთა გამდიდრების სქემებზე სკანდალურ დეტალებს ასაჯაროებს:*

— წინა კვირას ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩვენი სახელოვანი ტენორის **რამაზ ჩუბლაშვილის** 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ცხადია, მუსიკალური საზოგადოება შეიკრიბა და, წესით, იქ არ უნდა ყოფილიყო ინტერესი იმ საკითხების მიმართ, რომლებზეც **„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში** ვისაუბრეთ, მაგრამ გავოცდი! ათამდე ადამიანმა მაინც მითხრა: **„წავიკითხეთ გაზეთი „ასავალ-დასავალი“ და აღფრთოვანებულები ვართ იმ ანალიზითა და მასალებით, რასაც აქვეყნებთო!“** ზოგი მაფრთხილებს — **ფრთხილად იყავითო!** ზოგი ამბობს — **ვერც კი ვიფიქრებდით, რომ ქუთაისში 1989-1990 წლებში 200 მეგავატი ელექტროენერგია იხარჯებოდა, დღეს კი — მხოლოდ 45 მეგავატიო...** ანუ, პრაქტიკულად, გაჩერდა ეკონომიკა, გვაქვს შუქი და მხოლოდ ეს გვიხარიაო.

ენერგეტიკის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა **ზივზივაძემ** მითხრა: **შოკირებული ვარ და მადლობა „ასავალ-დასავალს“, ეს მასალა რომ გამოაქვეყნაო!** ბევრი მეცნიერი და აკადემიკოსი მოდის ჩემთან და მთხოვს: **იქნებ მიხვიდეთ ვინმესთან და ურჩიოთ რამეო!**

### მე ვეუბნები: მიდით „ასავალ-დასავალში“, ამოიღეთ ხმა-მეთქი! ეშინიათ და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ზოგის შვილი სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ზოგის – სხვაგან.

დიახ, გააჩუმეს ყველა მოაზროვნე და აქტიური ადამიანი. 1989-1990 წლებში უკრაინიდან შემოტანილ ხორცზე მიტინგებს აწყობდნენ, დღეს კი ხმას არავინ იღებს. ჰგონიათ, რომ ცალ-ცალკე გადარჩებიან, რაც წარმოუდგენელია.

ქუთაისისკენ მიკროავტობუსით რომ მოვდიოდი, ორმა მგზავრმა იქაც მითხრა, რომ **„ასავალ-დასავალში“** ჩემი ინტერვიუ წაიკითხა. ერთი მხრივ, მიხარია, რომ გაზეთი ოჯახებში ბრუნდება.

### აშკარაა, რომ ტელევიზია ისტორიასა და სიმართლეს კლავს – რადაც გაიჟღერებს ეკრანზე და მაშინვე მთავრდება. „ასავალ-დასავალი“ კი ამას წარმოუდგენლად დიდი ხნის განმავლობაში შეინახავს.

ამერიკის ერთ-ერთი სიძლიერეც სწორედ ისაა, რომ იქ მთავარი ტელევიზია კი არა, გაზეთში დაბეჭდილი სიტყვაა. ის ხელისუფლება, რომელიც გაზეთს არ კლავს და ოჯახებში აბრუნებს, ნამდვილად ეროვნული განწყობისაა.

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლებას რას ურჩევთ?**

— ხელისუფლებას კეთილად მინდა ვურჩიო: **არ ვართ მტრები, არავინ გებრძვით. თქვენ, პოლიტიკოსებს, გაწყობთ ერთმანეთის კრიტიკა, მაგრამ არ იცით, ხალხში რეალურად რა მდგომარეობაა.** ჩემი რჩევაა — ხელისუფალნო, ჩამოდით მანქანებიდან და გადით ხალხში! შეხვდით და ესაუბრეთ მათ. ამით თქვენც შეიცვლებით და ქვეყანაც გაკეთილშობილდება. დღეს ხალხს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ხელისუფლება უფროსია. ხმამაღლა მინდა ვთქვა: **უფროსი ამ ქვეყანაში არის ხალხი, ხოლო ხელისუფლება — დაქირავებული მსახური!**

**— თუმცა, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მაინც აკეთებს იმას, რაც შეუძლია!**

— სწორედ ეგ მაშფოთებს! ხელისუფალი ის კი არ არის, ვინც აკეთებს იმას, რაც შეუძლია, ხელისუფალია ის, ვინც აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც კონკრეტულ ეტაპზე ქვეყანაში შეიძლება, **ანუ მუშაობს შესაძლებლობების მაქსიმუმზე!** შესაძლებლობების მაქსიმუმს კი მეცნიერება ქმნის.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წლიდან დღემდე, არცერთ ხელისუფლებას შესაძლებლობების 7-10 პროცენტზე მეტი არ გაუკეთებია. არცერთს! ამიტომ ვამბობ, რომ

### პრემიერ-მინისტრს მეცნიერებათა აკადემიაში კაბინეტი უნდა ჰქონდეს და პირდაპირი გადაცემით იღებდეს წინადადებებს მეცნიერებისგან.

დღეს ქვეყანაში 1 მილიონი ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას. არადა, გვაქვს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ამ ხალხიდან 400-500 ათასი კაცის ფერმერად ქცევა 3-4 თვეშია შესაძლებელი. სოფლებში მოსახლეობის 80 პროცენტი დახმარებაზეა დამოკიდებული და ეს დახმარება მათხოვრული 300-400 ლარია! საშინელებაა, როცა ამბობენ, რომ ვითომ 200 ათასი კაცი დაასაქმეს. რეალურად, უმუშევართა მთელი არმია სასაფლაოებს მიამაგრეს. თითოეულ სასაფლაოზე 15-20 კაცია მიმაგრებული...

**— სასაფლაოებზე ამდენი ხალხი რას აკეთებს?**

— არაფერს, უბრალოდ გაფორმებულები არიან! ჰკითხეთ ნებისმიერ რაიონში დასუფთავების ხელმძღვანელებს, თუ როგორ გაუზარდეს თანამშრომელთა რაოდენობა...

### ზუგდიდში, მაგალითად, დასუფთავების სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა 10-15 პროცენტით გაზარდეს, არადა, ისედაც ორჯერ მეტი ხალხი ჰყავდათ სამსახურში და შტატები გაბერილი იყო.

## „მიხეილ სააკაშვილმა სოხუმის უნივერსიტეტის მიწები 1 დოლარად გადასცა ბენდუქიძეს, დღეს კი მისი ქალიშვილი კვადრატულ მეტრს 50 დოლარად ყიდის!“

300-400-ლარიანი სამსახური დღეს ადამიანის აბუჩად აგდებაა. ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში მინიმალური პენსიითა და ხელფასით ადამიანი 1000 ლიტრ საწვავს მაინც უნდა ყიდულობდეს. საქართველოში კი მოსახლეობის 95 პროცენტს სრულფასოვანი კვების საშუალებაც არა აქვს და იმ კალორიების ნახევარსაც ვერ იღებს, რაც სიცოცხლისთვის სჭირდება. **ხალხს ვაავადმყოფებთ, სამაგიეროდ, აფთიაქების რაოდენობა გაიზარდა...** ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია დღეს კლინიკების გახსნაში იდება, რადგან სახელმწიფო ჯანდაცვას აფინანსებს. დიახ, **უცხოელები შემოდიან, ყიდულობენ კლინიკებს და ჩვენს ავადმყოფობაზე ფულს შოულობენ. არადა, ნებისმიერი პროფესიონალი ექიმი გეტყვით, რომ ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე, ოპერაციების გაკეთება მესამედ და მეოთხედ ფასშია შესაძლებელი.**

**— მაინც რა არის დღეს საზოგადოების მოთხოვნა და ყველაზე მეტად რა აწუხებს ხალხს?**

— აი, მაგალითად, **ხალხი ხშირად მეკითხება გამოუქვეყნებელ და გასაიდუმლოებულ სიებზე!** აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს იმ ადამიანების სია, რომლებმაც კუპონების შემოღებისთანავე **ნულოვან აუქციონზე კაპიკებში შეიძინეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საწარმოები, გაწირეს მუშები და თავად მილიარდერები გახდნენ.** ასევე უნდა გამოქვეყნდეს ის სიაც, რომელიც პროკურატურას ფინანსთა მინისტრმა, აწგანსვენებულმა **დემურ დვალიშვილმა** წარუდგინა. სწორედ ეს სია გახდა საეჭვო გარემოებებში მისი თვითმკვლელობის თუ მკვლელობის მიზეზი!

**— თქვენი აზრით, რატომ არ ქვეყნდება ეს სია?**

— იმიტომ, რომ ეს ხალხი, ვინც აურაცხელი ქონება ჩაიგდო ხელში, ისევ პოლიტიკასა და ხელისუფლებაშია! ისინი შევარდნაძის დროს გამდიდრდნენ, სააკაშვილის დროს უფრო გამდიდრდნენ და დღესაც მაგრად არიან. **იცის ვინმემ, თურქეთმა რომ სესხი მისცა საქართველოს, ვინ აიღო ის და დააბრუნა თუ არა უკან?**

**— როგორც ვიცი, თემურ ჭყონიამ აიღო ეგ სესხი და უკან არაფერი დაუბრუნებია!**

— არამარტო **თემურ ჭყონიამ,** უამრავმა სხვამაც არ დააბრუნა! ვინც დღეს მილიონერები არიან, საქართველოში არცერთს ფული პატიოსნად, სა-

## „უპასუხეთ საქართველოს: „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სკანდალური მასალა დავითგარეჯის სადავო მიწების აზერბაიჯანისთვის გადაცემის შესახებ, ტყუილია თუ მართალი?!“

**„ხალხს ვააავადმყოფებთ, სამაგიეროდ, აფთიაქების რაოდენობა გაიზარდა!“**

კუთარი ნიჭით არ უშოვია. **შევარდნაძემ** რომ თქვა, 100 მილიონერი უნდა შევქმნათო, დაიწყო და თავისი ახლობლებისგან შექმნა მილიონერთა გარემოცვა! ერთ სიმპტომატურ ფაქტს მიაქციეთ ყურადღება: **ჯაბა იოსელიანის** პირველი წიგნი რომ გამოვიდა, ნახეთ, რა გვარები ეწერა შიგნით და ნახეთ ბოლო გამოცემები — **გვარები და სახელები, რომლებმაც ქვეყანა დააქციეს, სუყველა ამოღებულია!** ძალიან ბევრი პიროვნება, ვისზეც **ჯაბა** წერდა, დღეს ხელისუფლებასა და ოპოზიციაშია. **ჯაბა იოსელიანის წიგნში ერთადერთი კაცი ვარ, რომელიც როგორც პირველ, ისე ბოლო გამოცემაში დამტოვეს და არ ამომიღეს და ჯაბა ყველგან მლანძღავს!**

**— დემურ დვალიშვილის სიის შესახებ პროკურატურამ ძალიან კარგად იცის. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება არა აქვს, თორემ, ვინც ხალხის ქონება კუპონებად ჩაიგდო ხელში, მაშინვე სტაცებენ ხელს!**

— ზუსტად ეგაა! ჩვენ რომ გამოვაქვეყნოთ **დემურ დვალიშვილის** სია, იტყვიან — ტყუილიაო! ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომ ეს სია ოფიციალური დოკუმენტია და **დვალიშვილი** სწორედ მაგ სიას შეეწირა. თუ ეს სია პროკურატურიდან გამქრალია, ამაზე სერიოზული გამოძიება უნდა დაიწყოს! **ავიღოთ თუნდაც დავითგარეჯისა და აზერბაიჯანთან სადავო მიწების პრობლემა, განა მთელი ეროვნული მოძრაობა გარეჯით არ დაიწყო? ფიქრია ჩიხრაძე, დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე** და სხვები, მაშინ ფეხზე რომ იდგნენ, გაიყიდა აღდგომის ეკლესია, გაიყიდა ჩიჩხიტურის კოშკი და რატომ დუმან დღეს ეს ადამიანები? რატომ არ სთხოვენ ხელისუფლებას პასუხს?

**— ისეთი სიტუაციაა, რომ ყველა გასვრილია ამ თემაში. სააკაშვილის განცხადება ცნობილია — საზღვარი ისე უნდა გატარდეს, რომ სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანს გადაეცესო!**

— „ასავალ-დასავალმა“, რომელსაც ათასობით ადამიანი კითხულობს, დასვა კითხვა — **მართლა მოუწერა თუ არა ხელისუფლებამ ილჰამ ალიევს ხელი დავითგარეჯის სადავო მიწების გადაცემაზე?** ხელისუფლება დუმს! უპასუხეთ საქართველოს: სკანდალური მასალა დავითგარეჯის სადავო მიწების აზერბაიჯანისთვის გადაცემის შესახებ, ტყუილია თუ მართალი?

**გასცეს პროკურატურამ პასუხი, ვინ აიღო კუპონებში სესხები და რატომ მოხდა დემურ დვალიშვილის ტრაგედია! თქვენ, ვინ იყიდა ქვეყნის დიდი ობიექტები, რომლებიც დღეს უკვე ათჯერ არის გადაყიდული!**

მაგალითად, მე დავინტერესდი, თუ ვინ იყიდა პირველად ცირკის შენობა და ქორწინების სახლი და რა ფასად...

**— როგორც ვიცი, ორივე შენობა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს ეკუთვნის!**

— არა, ბატონო! **თმა ყალყზე დაგიდგებათ, რომ გაიგოთ, ვინ იყიდა თავდაპირველად ეგ შენობები. ბადრის სახელმწიფოსგან არაფერი უყიდია, მან ეს ობიექტები უკვე კერძო მეპატრონეებისგან შეიძინა. ეს ის ხალხია, რომელთაგან ძალიან ბევრი დღეს ხელისუფლების ირგვლივ ტრიალებს.**

**— არ შეგვიძლია ვთქვათ, ვისი იყო ცირკი და ქორწინების სახლი?**

— პირდაპირ გეტყვით: **შევარდნაძის მინისტრებმა პირდაპირ თუ ირიბად მიითვისეს ქვეყნის ქონება, შემდეგ კი სააკაშვილის ეპოქაში პატივცემული ადამიანები გახდნენ.** ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა **„მოქალაქეთა კავშირს“** ეკისრება, რომელმაც ნულოვანი აუქციონის კანონი მიიღო; ვინც ეს კანონი მიიღო, ძირითადად მათვე იყიდეს ობიექტები და მერე გადაყიდეს.

მაგალითად, ქუთაისში პირველ სართულებზე არსებული ატელიეები და საყოფაცხოვრებო ობიექტები ცენტრალურმა ხელისუფლებამ კუპონებზე გაყიდა. ობიექტები, რომლებიც დღეს მილიონები ღირს, მაშინ 30-40 ათას კუპონად იყიდეს. **როცა კუპონი გაუფასურდა, ზუსტად ეგ გაუფასურებული კუპონები დააბრუნეს. ვინ შეუწყო ამას ხელი?** ისევ მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მაშინ „მოქალაქეთა კავშირის“ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

მაშინდელი საარბიტრაჟო სასამართლოს ხელმძღვანელი **სოსო ბაჩიაშვილი** მირეკავდა და მეუბნებოდა: **აღარ შემიძლია ამდენის გაძლება, მთელი „მოქალაქეთა კავშირის“ საჯიჯგნი გავხდიო!** მე და გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი **ალექსანდრე შენგელია** ვებრძოდით ამ პროცესს. „მოქალაქეთა კავშირმა“ ჩალის ფასად გაყიდა საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნები მაშინ, როცა მხოლოდ 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ჯართი ეწყო ორივე ქარხანაში!

წარმოგიდგენიათ? როცა **ლადო ჭანტურია** იყო სასამართლოს თავმჯდომარე, მე, როგორც გუბერნატორმა, პრეზიდენტს ვუჩივლე და სასამართლო მოვიგე — **გაყიდული ობიექტები ისევ უკან დავაბრუნებინე. მაგრამ მოვიდა სააკაშვილი, ობიექტები ისევ გაიყიდა და „კანონიერმა ქურდებმა“ იყიდეს!** რვა დიდმა მეცნიერმა ხელი მოაწერა ოფიციალურ წერილს, რომელსაც მომდევნო კვირაში პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს გავუგზავნით. ვითხოვთ, რომ **დემურ დვალიშვილის სიები** გამოქვეყნდეს! მე 1960 წელს აშენებული მამაპაპისეული სახლის გარდა არაფერი გამაჩნია, მაგრამ შეხედეთ ექსმინისტრებს და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს — ბავშვი რომ ეყოლებათ, მეორე დღეს ის უკვე სახლის მეპატრონეა!

**— ზემოთ „კონვერტების საქმე“ახსენეთ... 1200 კონვერტის ადრესატი ვინც იყო და დღემდე არის, იმათი სია არ უნდა გამოქვეყნდეს?**

— **ვინ არის ეს 1200 კაცი ხელისუფლებამ იცის, რადგან სწორედ ეს ხელისუფლება არიგებდა და დღემდე არიგებს ფულს კონვერტებით!** ფაქტია, პროკურატურამ თავად განაცხადა, რომ **სუს**-ის ყოფილი უფროსის **გრიგოლ ლილუაშვილის** ნათესავის ოჯახში ამოიღეს 1200 კონვერტში დაფასოებული ფული, რომელიც კონკრეტულ პირებს ყოველთვიურად ეგზავნებოდათ.

**რატომ უმალავენ ამას ხალხს? რას უყურებთ, იმ 1200 კაცის სიას არ ასაჯაროებთ, რომელსაც ყოველთვიურად ფარულად ფულს უხდით და კონვერტებს უგზავნით?** თუნდაც მიწების შესყიდვა ავიღოთ: ეკონომიკის მინისტრობის დროს **მიხეილ სააკაშვილმა** სოხუმის სუბტროპიკული უნივერსიტეტი გააუქმა და მისი უნიკალური შენობა და ასობით ჰექტარი მიწა 1 დოლარად თუ 1 ლარად გადასცა უნივერსიტეტს, რომლის რექტორიც **კახა ბენდუქიძე** იყო. დღეს კახა ბენდუქიძის ქალიშვილი ქალაქის შემოგარენში მდებარე ამ მიწის ერთ კვადრატულ მეტრს 50 დოლარად ყიდის! სააკაშვილის დროს, როცა დვალიშვილის სიების გამოქვეყნებას ვითხოვდი, იცით, ვინ წავიდა წინააღმდეგი? პირველი **მიხეილ სააკაშვილი** იყო, რომელმაც განაცხადა — ქვეყანა გადაბრუნდება, რადგან მაგათ დიდი ფული აქვთ ნაშოვნი და პოლიტიკურ ასპარეზს არ დათმობენო! **14 წელი გავიდა, რაც პროკურატურაში, სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ გენოციდზე დოკუმენტები გავგზავნეთ; ეს წერილი ბიძინა ივანიშვილთანაც გაიგზავნა, მაგრამ 14 წელია, ეს მასალები თაროზე დევს და არ გამოუძიებიათ!** რეალურად, 1992 წლის გადატრიალების შემდეგ, საქართველო იმართება ძალოვანი სტრუქტურებისა და გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის მიერ. **ამ თემებზე და რუსული ფულის ამოღებაზე ძალიან მძიმე მასალებს ვამზადებ.**

**— ხომ არ აპირებთ მათ გამოქვეყნებას?**

**— მზადდება დიდი მასალა და ვფიქრობ, „ასავალ-დასავალი“ იქნება ის გაზეთი, სადაც ამ ყველაფერს საზოგადოებას გავაცნობთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„გასცეს პროკურატურამ პასუხი, ვინ აიღო კუპონებში სესხები და რატომ მოხდა დემურ დვალიშვილის ტრაგედია! თქვენ, ვინ იყიდა ქვეყნის დიდი ობიექტები, რომლებიც დღეს უკვე ათჯერ არის გადაყიდული!“**

# გადით ხალხში!




**„იმ 1200 კაცის სიას რატომ არ ასაჯაროებთ, რომელსაც ყოველთვიურად ფარულად ფულს უხდით და კონვერტებს უგზავნით?“**